ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1861004

ნომერი: AR1303328

თარიღი : 21.04.2015

გაცემის თარიღი : 01.05.2015

გაცნობის თარიღი : 03.05.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გრიშაშვილის, ახუნდოვის და ფირდოუსის ქუჩებს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეიმურაზ ღვანიძე პ/ნ 01010000724
- თბილისი ძმ.ზუბალაშვილების ქ. N 3/5/7

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 12.12.2014წ. N1635999 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 21/04/2015 წ. #

AR1303328 განცხადებით მომართა ამხანაგობა ,,აბანოთუბანი 2006"-ს წარმომადგენელმა თეიმურაზ ღვანიძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 12.12.2014წ. N1635999 ბრძანებაში ხარვეზის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 12.12.2014წ. N1635999 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი - კრწანისი), გრიშაშვილის, ახუნდოვის და ფირდოუსის ქუჩებს შორის, ი.ბ.ა. "აბანოთუბანი 2006"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 24 დეკემბრიდან 2015 წლის 24 დეკემბრის ჩათვლით.

ამასთან, 06.04.2015წ. №1825597 ბრძანებით ცვლილება შევიდა სამსახურის 12.12.2014წ. N1635999 ბრძანებაში და საზაფხულო ფართად მიეთითა– 746,0 კვ.მ, სარდაფის ფართად – 342,0 კვ.მ, ხოლო ავტოსადგომების ფართად – 641,9 კვ.მ. განმცხადებელი უთითებს, რომ აღნიშნული ცვლილების განხორციელების შედეგად შეიცვალა საერთო ფართობიც, კერძოდ, 12.12.2014წ. N1635999 ბრძანებაში მითითებული 5767.5 კვ.მ.–ს ნაცვლად საერთო ფართი წარმოადგენს 5750.0 კვ.მ. –ს და ითხოვს აღნიშნული ხარვეზის გასწორებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, დამკვეთის მიერ ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების მითითების დროს დაშვებული იქნა შეცდომა, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გაასწოროს ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში დაშვებული ტექნიკური შეცდომა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 12.12.2014წ. N1635999 ბრძანებაში და საერთო ფართობად მიეთითოს 5750.0 კვ.მ.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 12.12.2014წ. N1635999 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კმ, N6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.